

ლაგოდების მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი № 3

08.05..2018 წელი

ქ.ლაგოდეხი

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის)

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები: არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრიდან“

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ღამბაშიძე

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე: ზურაბ ჯაფარიძე

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული სამსახურების წარმომადგენლები: ლევან ხარაშვილი, ხათუნა ყოყოჩაშვილი, თამარ დარბაიძე, ხატია ნოზაძე

სახალხო დამცველის აპარატის საკონტაქტო პირი კახეთის რეგიონში- ევა გოგაშვილი

დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განსაზღვრა

მოისმინეს: გენდერული თანასწორობის მისაღწევად „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ექსპერტებმა და გენდერული საბჭოს წევრებმა განიხილეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით განისაზღვრება სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები.

დაადგინეს:

- ა) მოპოვებული ინფორმაციის შეჯერების შემდეგ „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ წარმოადგენს სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიას, რომელსაც განიხილავს საბჭო და გეგმის საბოლოო ვერსიას წარუდგენს საკრებულოს დასამტკიცებლად.

ბ)გენდერული საბჭოს მუშაობის ეფექტურობის გაძლიერების მიზნით, გაგრძელდეს თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან, ჩატარდეს საბჭოს წევრებისათვის შეხვედრები ტრენინგის ფორმატში.

გენდერული თანასწორობის საბჭოს

თავმჯდომარე:  / კარლო ჯამბურია/

გენდერული თანასწორობის საბჭოს

მდივანი:  / თამარ მუმლაძე/